მშრომელთაშრებო ყველა ერთეულნიანა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 93 (5194) | შაბათი, 23 აპრილი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

მრეწველობის მუშაკებმა უკეთესად უნდა იმუშაონ (მოწვინავე)

ისტორიული დოკუმენტი (სარედაქციო სტატია)

სანიმუშო გეგმები მოსახლეობისა და საუბრებისა 1938 წლის 1 მაისისათვის (მე-2 გვ.)

ს. სახაროვი — ქრისტიანული „აღდგომის“ დღესასწაული და მისი რეაქციული როლი (მე-2 გვ.)

პარტიული ცხოვრება: **პრ. რატიანი**—აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები, გავაუმჯობესოთ პარტიული მუშაობა; **ალ. ბვინჩიძე** — პარტკომის მდივნის ანგარიში არ იყო თვითკრიტიკული (მე-3 გვ.)

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასკომის ... მიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება (მე-4 გვ.).

უცხოეთში:

ესპანეთის ფრონტებზე (1-ლი გვ.)

ესპანეთის ლონდონის საელჩოს განცხადება (1-ლი გვ.)

საომარი მოქმედება ჩინეთში (1-ლი გვ.)

ჯარისკაცთა დეზერტირობა იაპონიის არმიიდან დღითიდღე იზრდება (1-ლი გვ.).

მრეწველობის მუშაკებმა უკეთესად უნდა იმუშაონ

სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება სოციალისტური წარმოების თვითეული დარგისათვის, საწარმოსათვის, ფაბრიკა-ქარხნისათვის უცილობელი და ურყევი კანონია. სამეურნეო ხელმძღვანელთა მუშაობა იმის მიხედვით ფასდება, თუ პრაქტიკულად როგორ ასრულებენ ისინი სახელმწიფო გეგმის როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

საქართველოს მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საკმაოდ თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა. უდავოა, რომ საქართველოს კვების, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობა მარშანდელთან შედარებით უკეთ მუშაობს. ამას ადასტურებს, მაგალითად, საქართველოს კვების მრეწველობის მიერ პირველი კვარტალის გეგმის 107 პროცენტით შესრულება, მსუბუქ მრეწველობაში მარშანდელთან შედარებით პროდუქციის გამოშვების გადიდება 15,8 პროცენტით, ადგილობრივ მრეწველობაში—17 პროცენტით და სხვ.

ეს უდავო მიღწევები უმთავრესად იმით აიხსნება, რომ საქართველოს მრეწველობაში ძირითადად უკვე მხილებული და განადგურებულია მავნებელთა, ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელ აგენტთა ბუდეები, რომ ახალი ხელმძღვანელები, რომელნიც დაიწინაურეს პარტიამ და ხელისუფლებამ, სთავეში ჩაუდგნენ მასების მზარდ აქტივობას. წარმატებით ეუფლებიან ძათთვის მინდობილ საქმეს და ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებული და ერთგული პრაქტიკული ბრძოლით უკვე იძლევიან პირველ ნაყოფიერ შედეგებს და საქართველოს მრეწველობა შემდგომი აღმავლობის გზით მიჰყავთ.

მიუხედავად ამისა, პირველი კვარტალის შედეგები უნაკლო როდია. ეს შედეგები სრულიადაც არ იძლევიან თვითდამშვიდებისა და იმის საფუძველს, რომ მრეწველობის მუშაკებმა სთქვან: ჩვენ, რაც მთავარი იყო, გავაკეთეთ, გარდატეხას მივაღწიეთ. ჰირიქით, ეს შედეგები იმის მაჩვენებელიცაა, რომ საქართველოს მრეწველობაში, განსაკუთრებით მსუბუქ და ადგილობრივ მრეწველობაში, ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იბრძვიან მავნებლობის შედეგების აღმოსაფხვრელად, ტექნოლოგიური პროცესების მთელი სიზუსტით დასაცავად, სოციალისტური წარმოების კულტურის დაუფლებისა და სტახანოვური მოძრაობის გაღრმავებისა და გაფართოებისათვის, რომელიც შრომის ნაყოფიერების გადიდების მთავარი საშუალებაა.

სწორედ ამით აიხსნება, რომ საქართველოს ადგილობრივმა მრეწველობამ, მარშანდელთან შედარებით პროდუქციის გამოშვების 17 პროცენტით გადიდების მიუხედავად, პირველი კვარტალის გეგმა მხოლოდ 91,1 პროცენტით შეასრულა, მსუბუქმა მრეწველობამ — 98,3 პროცენტით.

ამასთან გეგმის შესრულების ეს საერთო ციფრები ჰფარავენ მრეწველობის ამ დარგების ქვედარგებისა და ცალკეულ საწარმოთა პირდაპირ სამარცხვინო მუშაობას, მათ უკულტურობას და წარმოების შესაძლებლობათა გამოყენების უუნარობას. მაგალითად, ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში ძალიან ჩამორჩენა სამთამადნო მრეწველობა, რომლის პროდუქციაზედაც სსრ კავშირში დიდი მოთხოვნაა. მან პირველი კვარტალის გეგმა მხოლოდ 74.4 პროცენტით შეასრულა.

სამეურნეო ხელმძღვანელობის უძლურების მაჩვენებელია თბილისის კამოს სახელობის ქარხნის მუშაობა პირველ კვარტალში. იმის გამო, რომ ქარხანამ დროზე ვერ მოიმარაგა საჭირო მასალა, ინსტრუმენტები და საერთოდ მოუმზადებელი შეხვდა მიმდინარე წელს, ხრახნების საჭიროელი 20 სახეობა დაზგის ნაცვლად, რომელიც უნდა აეთვისებინა და გამოეშვა პირველ კვარტალში, მხოლოდ ერთი დაზგა აითვისა და გამოუშვა.

პირველი კვარტალის შედეგების სურათი სრული არ იქნება, საქმის მეორე მხარე რომ დავივიწყოთ. საქმე ეხება გეგმის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებას. ამხანაგმა მოლოტოვმა თავის მოხსენებაში ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავის შესახებ აღნიშნა: „... ჩვენში სოციალისტურად მუშაობს მხოლოდ ის ქარხანა, რომელიც კარგ პროდუქციას იძლევა არა ნაკლებს, არამედ უფრო მეტს, ვიდრე ასეთივე ქარხანა სსრ კავშირის საზღვრების გადაღმა“.

პირველი კვარტალის გეგმის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების მიხედვით არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მრეწველობა უკვე კარგად მუშაობს, ე. ი. ისე მუშაობს, როგორც ამას მოითხოვენ პარტია და საბჭოთა მთავრობა.

ზემოაღნიშნულმა კომისარიატებმა ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების გეგმები; დაარღვიეს საგეგმო ასორტიმენტი, მთლად ვერ მოსპეს წუნი და ვერ უზრუნველჰყვეს გეგმით დადგენილი პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. ამ საკითხებზე საკმაოდ ილაპარაკეს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა აქტივის თათბირზე და ბევრი სასარგებლო პრაქტიკული ღონისძიებაც დასახეს, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს.

იმის მკაფიო მაგალითს, თუ როგორ შეიძლება გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლები აბსოლუტურ ციფრებში კარგად გამოიყურებოდნენ, ხოლო არსებითად გეგმა ცუდად იყოს შესრულებული, რადგან ასევე ვერ ითქმის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე — პროდუქციის ხარისხზე, საგეგმო ასორტიმენტზე, ნედლი მასალის ხარჯვაზე და სხვ.—იძლევიან თბილისის აბრეშუმსაქსოვი და მაუდის ფაბრიკა.

აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკამ — კვარტალური გეგმა 105 პროცენტით შეასრულა, მაუდის ფაბრიკამ —101 პროცენტით. თითქოს კარგი მაჩვენებლებია. სინამდვილეში კი როგორც პირველს, ისე მეორე ფაბრიკას პირველ კვარტალში არ ჰქონდა პროდუქციის კარგი ხარისხობრივი მაჩვენებლები. გარდა ამისა, ამ ფაბრიკებს პირველ კვარტალში აქვთ ნედლი მასალისა და ხელფასის ფონდის დიდი გადახარჯვა.

მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ ხარისხის ხარჯზე გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლებისადმი ცალმხრივი გამოკიდების ტენდენცია მავნე და ანტისახელმწიფოებრივია. ცხოვრებაში მტკიცედ უნდა გავატაროთ მთავრობის დადგენილება იმის შესახებ, რომ გეგმა მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილად შესრულებული, როდესაც პროდუქციის დიდი რაოდენობით გამოშვებასთან ერთად დაცულია ხარისტმენტი, ხარისხი, გადახარჯული არ არის ნედლი მასალისა და ხელფასის ფონდი და სხვ.

მეორე კვარტალში საქართველოს მრეწველობა უფრო სწრაფი აღმავლობით უნდა წავიდეს წინ. ამისათვის მის ხელმძღვანელ მუშაკებს ყველა პირობა მოეპოვებათ. გარდა იმისა, რომ პარტია და ხელისუფლება მათ დიდ ყურადღებასა და დახმარებას უწევენ, იზრდება მშრომელთა საწარმოო ენტუზიაზმი და აქტივობა, რომელსაც უფრო აძლიერებს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება.

ყველა შესაძლებლობის გამოყენებითა და მასების დარაზმვის გზით საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა მეორე კვარტალში მართლა სანიმუშო და სასახელო შედეგებს უნდა მიაღწიონ.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ

რუსეთის სფსრ კონსტიტუციის 25 მუხლისა და „რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 23 და 24 მუხლების საფუძველზე სრულიად-რუსეთის ცაკმა დაადგინა შეიქმნას რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 727 საარჩევნო ოლქი. (საკდესი).

სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისაგან

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ა.-წ. 21 აპრილს დილის 8 საათსა და 30 წ. გარდაიცვალა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის პირველი მოადგილე, მედგარი ბოლშევიკი, სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებისათვის მგზნებარე მებრძოლი— ამხანაგი მიხეილ ივანეს-ძე **ცელისჩევი.**

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია

ცნობა

თბილისი — შრომის საოლქო საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შრომის საარჩევნო ოლქის № 5-ის საარჩევნო კომისია მოთავსებულია მე-52 სკოლის შენობაში, მწათობის ქუჩა № 49, ტელეფონი № 3-41-20.

დაწესებულია კომისიის წევრთა მორიგეობა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.

თბილისი — კიროვის საოლქო საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კიროვის საარჩევნო ოლქის № 20-ის საარჩევნო კომისია მოთავსებულია ცეკავშირის შენობაში, შტაბის ქ. № 4/2, მესამე სართულზე, ტელეფონი № 3-30-41.

დაწესებულია კომისიის წევრთა მორიგეობა დილის 10 საათიდან ღამის 1 საათამდე.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობების მიხედვით)

ალმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ტრემპის სექტორში მოგერიებულ იქნა მეამბოხეთა იერიში. ბალაგერის სექტორში რესპუბლიკელებმა კვლავ დაიპყრეს ბალაგერის ხიდწინა სიმაგრენი.

რესპუბლიკელთა ჯარები გადმოვიდნენ მდინარე ებროს მარცხენა ნაპირზე, სადაც მათ დაიკავეს ძლიერი პოზიციები მორა დე ებროდან მდინარის შესართავამდე. ეს პოზიციები ისე, როგორც თვით მდინარე, იტალია-გერმანიის ინტერვენტებს უკეტავენ კატალონიისაკენ მიმავალ გზას. იტალიელთა დივიზიები შეაჩერეს ტორტოსის წინ, სადაც რესპუბლიკელებმა ხიდი ააფეთქეს.

მდინარე ებროს სამხრეთით გრძელდებოდა ფაშისტების შეტევა ბენიკარლო-ტირიგის ხაზზე, მათი იერიშების შედეგები უმნიშვნელოა.

ცენტრალური ფრონტი

მადრიდის ფრონტზე რესპუბლიკელებმა აფეთქეს ნაღმები, რომლებიც მათ ჩაწყობილი ჰქონდათ დასავლეთის პარკისა და უნივერსიტეტის ქალაქის სხვადასხვა პუნქტში. აფეთქებამ მოსპო მეამბოხეთა ტყვიამფრქვევების პუნქტები. მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა.

ავიაციის მოქმედება

20 აპრილს 6 სამმოტორიანმა თვითმფრინავმა დაახლოებით 40 ყუმბარა ჩამოჰყარა სანაპიროზე ტარაგონასა და კამბრილიოს შუა. დაჭრილია ორი კაცი. უფრო გვიან იტალია-გერმანიის ავიაცია არაერთხელ შეეცადა დაეშინა ყუმბარები ქალაქ რეუსტისათვის, მაგრამ უკუგდებულ იქნა რესპუბლიკელთა საზენიტო ბატარიების ცეცხლით. საზენიტო ქვემეხებმა და რესპუბლიკის ავიაგამანადგურებლებმა ბარსელონიდან უკუაქციეს აგრეთვე „იუნკერსის“ ტიპის 5 სამმოტორიანი თვითმფრინავი.

პოდპოლკოვნიკ ლისჭერის განცხადება

პარიზი, 21 აპრილი (საკდესი). ესპანის სააგენტო ბარსელონიდან ვადმოგვცემს დივიზიის მეთაურის პოდპოლკოვნიკ ლისტერის საუბარს ჟურნალისტებთან.

„არაგონიის ფრონტზე, სადაც მე მონაწილეობას ვიღებდი ბრძოლებში, განაცხადა ლისტერმა, — ჩვენზე იერიში მოიტანა „შავი ისრების“, „23 მარტის“, „ლურჯი ისრების“ და „ლიტორიოს“ ოთხმა დივიზიამ, რომელთა განკარგულებაშიც იყო დიდძალი საბრძოლო საშუალებანი: საარტილერიო ძალები, ტანკები და ავიაცია. „ლიტორიოს“ დივიზია მთლიანად იტალიელებისაგან შესდგებოდა, „შავი ისრებისა“ და „ლურჯი ისრების“ დივიზიები — იტალიელებისა და გერმანელებისაგან. მთელი საკომანდო პოსტები ამ დივიზიებში იტალიელებს უკავიათ.

უცხოელ დივიზიათა ზარალი ამ ბრძოლებში დაახლოებით 25 ათას კაცს უდრის. ჩვენ ხელთ ვიგდეთ დიდძალი ტყვეები და წამოვიღეთ დიდი სამხედრო ნადავლი.

მოპირდაპირის ქვეითი ჯარი მეტად დაბალი ხარისხისაა. მისი როლი იმაში მდგომარეობს, რომ წინ წაიწიოს იმ ნგრევის შემდეგ, რასაც ავიაცია და არტილერია მიაყენებს მტრის პოზიციებს. თუ კი მოპირდაპირის ქვეითი ჯარი ახლო მანძილზე შეეჯახა რესპუბლიკურ ჯარებს, მაშინ მეამბოხენი გარბიან.

ესპანეთის ლონდონის საელჩოს განცხადება

ლონდონი, 21 აპრილი (საკდესი). დღეს საღამოს ესპანეთის საელჩომ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ესპანეთის მთავრობამ ფრიად სარწმუნო წყაროებიდან მიიღო შემდეგი ინფორმაცია:

„16 აპრილს გერმანიის გენერალურმა შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ოპერაციების ხელმძღვანელობა პირენეის ფრონტზე უნდა გადავიდეს გერმანიის სარდლობის ხელში. ღამით 16 აპრილს გერმანიის ხუთი უმაღლესი თანამდებობის ოფიცერი ბერლინიდან თვითმფრინავით გაფრინდა ბურგოსს. ესპანეთის ჩრდილოეთის ფრონტის ყველა ოპერაციას ამჟამად ხელმძღვანელობს გერმანიის საჰაერო ძალების გენერალი ვოლფი და მე-14 საარმიო კორპუსის გენერალი ვიტერშაინი. 14 და 15 აპრილს მიუნხენიდან ესპანეთში „იუნკერსის“ თვითმფრინავებით გაფრინდა 63 გერმანელი ოფიცერი, აქედან 52 გაემართა სევილიისაკენ ალმერიის წინააღმდეგ დაუყოვნებლივი შეტევის მოსამზადებლად. ამ შეტევას უხელმძღვანელებს გერმანიის სარეზერვო კორპუსის გენერალი ჰრაგერი და მე-7 საარმიო კორპუსის ჰოლკოვნიკი ჰიმერი“.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში

ხანკოუ, 21 აპრილი (საკდესი). შანდუნის პროვინციის იჯოუს რაიონში დიდი ძალების გადასროლის შემდეგ იაპონელებმა დაიწყეს ამ ქალაქზე შეტევა. მთელი დღეღამის განმავლობაში იაპონის 30 თვითმფრინავი და არტილერია ყუმბარებს უშენდნენ მას და თითქმის სრულიად მოსპეს. 19 აპრილს ჩინეთის ჯარი გავიდა იჯოუდან. მის გარშემო სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში გამაგრდა და იაპონელთა ზურგში თავისი ოპერაციები გააძლიერა. ამჟამად ბრძოლა ქალაქის მახლობლად სწარმოებს, ცენტრში, სიაჩენის რაიონში, იჯოუს ჩრდილოეთით.

ჩინელთა სარდლობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იაპონელებმა დაიწყეს შეტევა იჯოუზე აგრეთვე იმ მიზნით, რათა გამოეტყუებინათ ჩინელები ისიანიდან, სადაც იაპონელთა ჯარები გარშემორტყმულნი არიან და დიდ სიძნელეებს განიცდიან საომარი მასალისა და სურსათის ნაკლებობის გამო.

17 აპრილს ჩინელებმა განდევნეს იაპონელები ქალაქ სიანინიდან, რომელიც შანსის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

ცენტრალურ ჩინეთში

შანხაი, 21 აპრილი (საკდესი). ხანჯოუს ყურის ჩრდილოეთ-ნაპირზე ჩინელთა პარტიზანები და ჯარები გამაგრდნენ ხაინინსა და ხაიანში და ამჟამად წინ მიიწევენ ჩრდილოეთის მიმართულებით.

უარს ამბობენ გაემგზავრონ ფრონტზე

ხანკოუ, 21 აპრილი (საკდესი). „დაგუნბაომ“ მოათავსა ამოიდან მიღებული ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ მარტში იაპონელთა სამხედრო ხელისუფალთ ფორმოზაზე ძალით მოახდინეს დაახლოებით 4 ათასი ჯარისკაცის მობილიზაცია და განზრახული ჰქონდათ გაეგზავნათ ისინი ჩინეთის ცენტრალურ ფრონტზე, მაგრამ ჯარისკაცთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა უარი სთქვა გამგზავრებულიყო ფრონტზე. კირუნში (ფორმოზის ნავსადგური) ჯარისკაცებმა აჯანყება მოახდინეს. ბრძოლა იაპონელ ჯარისკაცებსა და აჯანყებულებს შორის მთელ ღამეს გაგრძელდა. ბევრმა აჯანყებულმა ჯარისკაცმა მთებს შეაფარა თავი. იაპონელთა სარდლობამ დიდძალი სამხედრო ნაწილები გაჰგზავნა მთებში, რათა გარს შემოერტყან გაქცეულებს.

ჯარისკაცთა დეზერტირობა იაპონიის არმიიდან დღითიდღე იზრდება

შანხაი, 20 აპრილი (საკდესი). გაზეთ „დაიმეანბაოს“ ცნობით, ჯარისკაცთა დეზერტირობა იაპონიის არმიიდან დღითიდღე იზრდება. დეზერტირობა განსაკუთრებით განვითარებულია იაპონიის იმ ნაწილებში, რომლებიც ნანდაოსთან (შანხაის სამხრეთი რაიონი) სდგანან და შახხაის დასავლეთის რაიონებში. ამ ნაწილიდან გაქცეულმა იაპონელმა ჯარისკაცებმა თოფები დაჰყარეს და ჩინურად გადაცმულნი მიიმალნენ.

იაპონელ ჯარისკაცებს შორის თვითმკვლელობა ხშირი მოვლენაა. გაზეთის სიტყვით, 17 აპრილს თოთხმეტმა იაპონელმა ჯარისკაცმა მოიკლა თავი.

ინგლისის მთავრობის ნოტა

ჟენევა, 21 აპრილი (საკდესი). ერთა ლიგის გენერალურმა მდივანმა ინგლისის მთავრობისაგან მიიღო ნოტა. ნოტაში ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ მას თავისთვის სავალდებულოდ ღარ მიაჩნია ლონდონის საზღვაო შეთანხმება, ვინაიდან იაპონიის მთავრობამ არ ისურვა უარეყო ცნობები იმის შესახებ, რომ იაპონია აგებს სამხედრო გემებს შეთანხმებით გათვალისწინებულ ნორმებზე მეტი ტონაჟით.

გენერალი მიახა 60 წლისაა

მადრიდი, 21 აპრილი (საკდესი). გუშინ გენერალ მიახას 60 წელი შეუსრულდა. მან რესპუბლიკური ესპანეთის ყოველი კუთხიდან და საზღვარგარეთიდან მრავალი მილოცვა მიიღო.

მიახა დაიბადა 1878 წლის 20 აპრილს ოვიედოში, საჰურველის ქარხნის მუშის ოჯახში. 1896 წელს ის ქვეითი ჯარის სამხედრო აკადემიაში შევიდა. მიახას თითქმის მთელი სამხედრო კარიერა აფრიკაში მიმდინარეობდა. 1936 წელს კორტესების არჩევნებში მემარცხენე პარტიების გამარჯვების შემდეგ მიახა ხირალის კაბინეტში სამხედრო მინისტრის პოსტზე დაინიშნა. ფაშისტური ამბოხების შემდეგ მიახა მადრიდის პირველ დივიზიას მეთაურობდა. შემდეგ კი იყო მადრიდის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე და ამ კომიტეტში რესპუბლიკური მთავრობის წარმომადგენელი. ამჟამად მიახა სარდლობს რესპუბლიკური ესპანეთის ცენტრისა და სამხრეთის ყველა შეიარაღებულ ძალას.

მოლაპარაკება ინგლისსა და გენერალ ფრანკოს შორის

პარიზი, 20 აპრილი (საკდესი). აქ მიღებულია ცნობები იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც სწარმოებს ინგლისსა და გენერალ ფრანკოს შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა გაფართოებისათვის. ამ მოლაპარაკების შედეგად გადაწყვეტილია გაგზავნოს გენერალ ფრანკოსთან ინგლისის სამხედრო და საავიაციო ატაშე. მოლაპარაკების დროს მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების დასაჩქარებლად ესპანეთის მეამბოხეებთან სპეციალური ატაშეს დანიშვნამდე მათთან გაემგზავრნენ ინგლისის სამხედრო და საავიაციო ატაშეები, რომლებიც ინგლისის საელჩოსთან იმყოფებოდნენ პარიზში.

ხერონის ბომბარდირება

პარიზი, 21 აპრილი (საკდესი). ესპანის სააგენტოს ცნობით, გუშინ ქალაქმა ხერონმა (კატალონიის ჩრდილოეთით) სამჯერ განიცადა იტალიური სამმოტორიანი ყუმბარმტყორცნელების თავდასხმა. თვითმფრინავებს შეხვდნენ საზენიტო ბატარიების ღობური ცეცხლით და რესპუბლიკელების ავიაგამანადგურებლებით. ფაშისტთა თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ქალაქის უშუარ გარეუბნებში. მოკლულია 12 და დაჭრილია 25 კაცი. დანგრეულია 30 სახლი და ამდენივე დაზიანებულია.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ანტონ ვასილის-ძე **ჯორბენაძე.**

ფოტო ი. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ისტორიული დოკუმენტი

ასეთი სახელწოდება მოიპოვა თავიდანვე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ „სალიტერატურო სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“.

დღეს სრულდება 6 წელი ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის გამოქვეყნებიდან. 23 აპრილის დადგენილებამ უდიდესი როლი ითამაშა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. მაშინ ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო გამომჟღავნებული და ნიღაბახდილი ხალხის მტრების საზიზღარი ბოროტებანი საბჭოთა ლიტერატურაში. ეს დადგენილება იყო მახვილის ჩაცემა მათთვის, ვინც აფერხებდა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას. ცხოვრების შემდგომმა განვითარებამ კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენა ამ დადგენილების დროულობა და მისი ბრძნული შინაარსი.

„რაპპისა“ და მისი მსგავსი ორგანიზაციების ლიკვიდაციით პარტიამ დროულად აღკვეთა მწერლობის ფრონტზე ტროცკისტ-ბუხარინელთა ბანდის მავნებლობა.

როგორც უკვე საბოლოოდ დადასტურებულია „რაპპის“ ხელმძღვანელობაში გაბატონებული იყვნენ ხალხის საზიზღარი მტრები, ჯაშუშ-ტროცკისტები. ისინი წლების მანძილზე ნერგავდნენ მწერლობაში მავნე ჩვეულებებს, კონტრრევოლუციური ლოზუნგებს და თეორიებს, ეწეოდნენ საზიზღარ ჯგუფობრიობას, რომელსაც რღვევა შეჰქონდა მწერლობაში. ჯგუფობრიობა, უპრინციპობა, კარიერიზმი ჰქმნიდა ატმოსფეროს, რომელშიაც მწერალს უძნელდებოდა ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა. „რაპპის“ ხელმძღვანელობა განგებ ჰქმნიდა ისეთ პირობებს, რომ მწერლები აეცდინა ჩვენი დიდი ეპოქის ამოცანებიდან. ასე იყო რუსეთში, ასე იყო საქართველოშიაც.

ისინი განგებ აქებდნენ და ადიდებდნენ მეორეხარისხოვან მწერლებს და მათ ნაწარმოებებს, ნამდვილ მწერლებს კი სდევნიდნენ და ავიწროებდნენ. რაპპელების დევნამ მიიყვანა თვითმკვლელობამდე ჩვენი ეპოქის უდიდესი პოეტი ვ. მაიაკოვსკი. ისინი თანამგზავრობის მავნე ტროცკისტული ლოზუნგით ჯიჯგნიდნენ მაიაკოვსკის შემოქმედებას, ვის არ სთვლიდნენ პროლეტარულ მწერლად მაშინ, როცა მაიაკოვსკი არ გახადეს ამ სახელწოდების ღირსი.

იყო პერიოდი, როცა ტროცკისტ ავერბახის მეთაურობით რაპპელებმა პროლეტარული ლიტერატურის მამას მაქსიმ გორკისაც კი შეუტიეს. „რაპპის“ ლიკვიდაციით პარტიამ გაანადგურა მწერლობაში ტროცკისტული აგენტურა და საბჭოთა ლიტერატურას გზა გაუხსნა დიადი შემოქმედებითი აღმავლობისაკენ. საბჭოთა მწერლობა 23 აპრილის შემდეგ დაადგა დიდი ბელადის სტალინის მიერ მითითებული სოციალისტური რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის ფართო შემოქმედებითს გზას და მოკლე დროის განმავლობაში კიდევ შესძლო სტალინური ეპოქისათვის შესაფერისი მაღალმხატვრული ნაწარმოებების მოცემა.

მწერლობაში ხალხის მტრებისა და ათასგვარი ნაძირალების განადგურებამ უდიდესი გავლენა მოახდინა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე. ხალხის მტრები ხელოვნურად ჰქმნიდნენ დაბრკოლებებს საბჭოთა მწერლებისა და პარტიის ურთიერთობის საქმეში. 23 აპრილის დადგენილებამ გაარღვია ის ზღუდეები და საბჭოთა მწერლობას შეუქმნა პირობები ნორმალური შემოქმედებითი მუშაობისათვის. მართალია, ხალხის მტრები ამ დადგენილების შემდეგაც განაგრძობდნენ მავნებლობას, მაგრამ პარტია მისწვდა ახლაც და გაახადგურა ისინი.

ამ მავნებლობის გამოხატულებას უკანასკნელად წარმოადგენდა ბანდიტების ბუხარინისა და რადეკის, ტრო

სანიმუშო გეგმები მოხსენებებისა და საუბრებისა 1938 წლის 1 მაისისათვის

გამოცდილების გაზიარების წესით ვიძლევით სანიმუშო გეგმებს მოხსენებებისა და საუბრებისას 1938 წლის 1 მაისისათვის, რომლებიც შედგენილია ქ. მოსკოვის აგიტატორების ამხ. ლ. ე. ნეზლინის (სატრიკოტაჟო მანქანების ქარხანა), გ. მ. კამენსკის (ქარხანა „ელექტროსველი“), კოზლოვას (საკ. კ. პ. (ბ) რკინიგზის რაიკომი), სკვორცოვის (საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პარტკაბინეტი) მიერ.

მოხსენების გეგმა

I. 1 მაისის დღესასწაულის მნიშვნელობა

1 მაისი შრომის საერთაშორისო დღესასწაულია. საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღეა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში 1 მაისი—ეს არის საერთაშორისო პროლეტარიატისა და მსოფლიოს ყველა ჩაგრული ხალხების რევოლუციურ ძალთა საბრძოლო შემოწმება კაპიტალიზმისა და პირველ რიგში ჰიტლისტური ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ, ომისა და მონობის წინააღმდეგ ბრძოლაში, თავისუფლებისა და დემოკრატიზმისათვის, მშვიდობიანობისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირში 1 მაისი—ეს არის გამარჯვებული სოციალიზმის სასიხარულო საყოველთაო - სახალხო დღესასწაული, მძლავრი დემონსტრაცია მთელი საბჭოთა ხალხის რკინისებური შემჭიდროვებისა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, დემონსტრაცია საყოველთაო-სახალხო მზადყოფნისა სსრ კავშირის ძალისა და ძლიერების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებისათვის, ომის ფაშისტ გამჩაღებელთაგან მშვიდობიანობის დაცვისათვის.

II. პროლეტარიატის ძალა მის საერთაშორისო სოლიდარობაშია

მარქსისა და ენგელსის მსოფლიო-ისტორიული მოწოდება „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ინტერნაციონალური პროლეტარული სოლიდარობის საბრძოლო ლოზუნგები პირველი მაისობების დროშებზე. როგორ უღალატეს ოპორტუნისტებმა II ინტერნაციონალიდან პირველი მაისის დღესასწაულის საბრძოლო ტრადიციებს.

მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიას ეჭირა მაღლა პროლეტარულ პირველმაისობათა საბრძოლო დროშა, შეშმარიტი საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დროშა.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია — მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის დასაწყისი. საბჭოების რესპუბლიკისათვის მხარდაჭერა ყველა ქვეყნის პროლეტარიატის მიერ. სოციალისტური შენებლობის წარმატებათა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა მუშებისა და ყველა ქვეყნის ჩაგრული მასების პოზიციების გაძლიერებისათვის მათ ბრძოლაში ფაშიზმთან. ინტერნაციონალური კავშირის ყოველმხრივ განმტკიცება ფაშიზმსა და კაპიტალიზმზე გამარჯვების მთავარი პირობაა.

საერთაშორისო პროლეტარიატის სერიოზულ ღონისძიებათა შეერთება საბჭოთა ხალხის კიდევ უფრო დიდ ღონისძიებებთან — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების აუცილებელი პირობაა. „საჭიროა გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ სსრ კავშირის მუშათა კლასის ინტერნაციონალური პროლეტარული კავშირი ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასთან“ **(სტალინი).**

III. ფაშიზმის წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ

1938 წლის გაზაფხულის ვითარება მოგვაგონებს 1914 წლის იმპერიალისტური ომის წინადღეს. ომი უკვე მიმდინარეობს. ესპანეთში იგი გააჩაღეს გერმანიისა და იტალიის ფაშისტებმა, ჩინეთში — იაპონიის იმპერიალისტებმა. ინგლისის ეგრეთწოდებული „ჩაურეველობის“ პოლიტიკით წაქეზებულმა ჰიტლერის გერმანიამ მოახდინა ავსტრიის ოკუპაცია და ემზადება ჩეხოსლოვაკიაზე გასალაშქრებლად. პოლონეთმა, სამხედრო შეჭრის მუქარით, ულტიმატუმი წარუდგინა ლიტვას. ფაშისტი აგრესორებს სურთ დაახთონ მსოფლიო ომის ხანძარი. მთელი მსოფლიო დაყენებულია ახალი გამანადგურებელი ომის საფრთხის ქვეშ. ფაშიზმისა და ომის ფრონტს უპირდაპირდება ერთიანი პროლეტარული და სახალხო ანტიფაშისტური ფრონტი. მუშათა კლასის ერთიანობისათვის, ყველა მშრომელთა ერთიანობისათვის, ომის ფაშისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩინელი ხალხის ანტიიაპონური ნაციონალური ფრონტი. სახალხო ფრონტის წარმატებანი და ანტიფაშისტურ ძალთა შემჭიდროვება საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში. მშრომელთა ფართო საერთაშორისო სოლიდარობა ესპანეთისა და ჩინეთის გმირ ხალხებთან.

IV. ფაშისტები ამზადებენ ლაშქრობას საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ

ფაშიზმის მთავარი მიზანია — თავს დაესხას საბჭოების ქვეყანას, დაანაწილოს იგი, აღადგინოს კაპიტალისტური მონობის წყობილება. ანტისაბჭოთა „მემორჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესმა გამოამჟღავნა ფაშისტ დამპყრობთა გეგმები, ცხადყო საერთაშორისო პროვოკატორთა და ომის გამჩაღებელთა მხეცური სახე. ფაშიზმის საზიზღარი დაქირავებული აგენტები, ტროცკისტ-ბუხარინელ - რიკოველი ქვეწარმავალნი შეპყრობილნი და გასრესილნი არიან. მთელი საბჭოთა ხალხი ერთგულად ეხმარება თავის სახელოვან დაზვერვას და განუწყვეტლივ ამაგრებს ქვეყნის თავდაცვას. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მტკიცედ ახსოვთ სტალინის სიტყვები: „საჭიროა ყოველმხრივ გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვა-ავიაქიმი“.

V. სტალინური კონსტიტუციის დროშით

სტალინური კონსტიტუციის დროშით საბჭოების ქვეყნის ადამიანები თვითონ ჰქმნიან თავიანთ ახალ ცხოვრებას. ჩვენში სოციალიზმი ხალხის ყოფაცხოვრებაში შევიდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება ჩვენი რევოლუციის ყველა მონაპოვართა უბრწყინვალესი შედეგია. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების მომავალი არჩევნები სტალინური ბლოკის ახალი გამარჯვებებით უნდა დაგვირგვნდეს. კარგად შევისწავლოთ ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუცია და საარჩევნო კანონი! **უფრო გავაძლიეროთ** მასების პოლიტიკური აქტივობა!

სახალხო მეურნეობის მძაფრი ზრდა. მესამე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის დიადი გეგმა. მრეწველობის მოწინავე ადამიანთა: საბჭოთა მეტალურგების, მაღაროელების და სხვ. წარმატებანი. ბრძოლა სოციალისტური კულტურისათვის წარმოებაში, შრომისა და პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. ბოლშევიკურად, სტალინურად ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის სანიმუშოდ შესრულებით უზრუნველვყოთ სტალინური მოსავალი—7-8 მილიარდი ფუთი მარცვლეული.

სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის შესახებ XVI პარტკონფერენციის მიმართვის მე-9 წლისთავი. „შეჯიბრება **სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდია...“ (ი. სტალინი).** სტახანოვური მოძრაობა — შეჯიბრების უმაღლესი საფეხური. სტახანოვური მოძრაობის ძალა მის მასობრივობაშია. ფართოდ და ღრმად გავშალოთ სტახანოველთა მოძრაობა!

VI. სსრ კავშირის მშრომელთა სიხარულით აღსავსე და ბედნიერი ცხოვრება

„... ყველაზე ძვირფასი და ყველაზე გადამწყვეტი კაპიტალი ადამიანი ადამიანები, კადრები“ **(სტალინი).**

უდიდესი სიხარული ჩვენი ქვეყნის მშრომელებისა, რომლებმაც სამუდამოდ მოუღეს ბოლო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, უმუშევრობას ქალაქად და სიღატაკეს სოფლად. მასების მატერიალური კეთილდღეობის მძაფრი ზრდა. შინაარსით სოციალისტური, ფორმით ნაციონალური საბჭოთა კულტურის აყვავება. სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა.

პაპანინელთა სახელოვანი ექსპედიცია ჩრდილოეთის პოლუსზე — საბჭოთა ხალხის ტრიუმფი.

VII. სიღატაკისა და უუფლებობის მუხრუჭში

კაპიტალისტური სამყარო შედის ახალ ეკონომიურ კრიზისში, მშრომელთა მძიმე, უუფლებო მდგომარეობა. უმუშევრობა, ხელფასის შემცირება, შიმშილი, სიღატაკე. სიკვდილიანობისა და თვითმკვლელობათა ზრდა ფაშიზმის ქვეყნებში. ფაშისტური თვითნებობის მუხრუჭში ჩაჭერილი ხალხთა მასები უფროდაუფრო მეტად რწმუნდებიან, რომ ფაშიზმი—ეს არის ომი და შიმშილობა, ხოლო სოციალიზმი—ეს არის მშვიდობიანობა და დოვლათი.

VIII. საბჭოთა პატრიოტიზმი ამოძრავებს მთელს ჩვენს ცხოვრებას

საბჭოთა კავშირი მტკიცედ და გადაჭრით იცავს მშვიდობიანობას მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის. დემოკრატიის ინტერესებისათვის, პროგრესის ინტერესებისათვის, მაგრამ საბჭოთა ადამიანები ერთი წუთითაც არ ივიწყებენ ამხანაგი სტალინის მითითებებს კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ.

საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა მთელ ხალხს ახასიათებს. (მაგალითები ჩვენი მესაზღვრეების ცხოვრებიდან, ყოველდღიური სინამდვილიდან).

მუდამ ფხიზლად ვიყოთ, რომ მტერმა მოუმზადებლებს არ მოგვისწროს. გავაათკეცოთ ბოლშევიკური სიფხიზლე. ვიცოდეთ მტრის გამოცნობა, რა ნიღაბსაც არ უნდა ეფარებოდეს იგი. დაუნდობლად და ბოლომდე აღმოვფხვრათ ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები და დივერსანტები—ჰირსისხლიანი ფაშიზმის ეს მოწინავე რაზმი. თუ მტერი გაბედავს და თავს დაგვესხმის, მთელი ჩვენი ქვეყანა დიდით პატარამდე აღსდგება სამშობლოს დასაცავად. მტერს დავცხებთ იმ ტერიტორიაზე, საიდანაც იგი მოვიდა. ჩვენ ასე ვართ აღზრდილი ლენინ-სტალინის პარტიის მიერ.

IX. ლენინ-სტალინის პარტია—სოციალისტური მშენებლობის ზამარჯვებათა ორგანიზატორი

ბოლშევიკების პარტია — ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ორგანიზატორი, სამოქალაქო ომის ფრონტებზე გამარჯვებათა ორგანიზატორი, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებათა ორგანიზატორი.

ლენინ-სტალინის პარტია — სსრ კავშირის მშრომელთა მოწინავე რაზმი, — პარტია, რომელიც „გაბედულად და ბოლომდე იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს“ **(სტალინი).** მასებთან მჭიდრო კავშირი, მასების ხელმძღვანელობა — ასეთია ბოლშევიკური პრინციპები: „... სანამ ბოლშევიკები ინარჩუნებენ კავშირს ხალხის ფართო მასებთან, ისინი უძლეველი იქნებიან“ **(სტალინი).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით პარტიული მუშაობის გარდაქმნამ განამტკიცა პარტიული ორგანოები, გაადიდა პარტიული მასების აქტივობა, გააძლიერა პარტიის ავტორიტეტი მასებში. ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები შინაპარტიული დემოკრატიის სასტიკად დაცვისა და ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაბედულად გაშლის საფუძველზე კიდევ უფრო მეტად გაზრდის ლენინ-სტალინის პარტიის ძალასა და ძლიერებას.

ბოლშევიზმის დაუფლება ახლადდადგენილი პერიოდის უაღრესად აუცილებელი ამოცანაა.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების შემჭიდროვება ბოლშევიკების პარტიის გარშემო, ხალხთა ბელადის სტალინის გარშემო არის შემდგომ წარმატებათა საწინდარი, საწინდარი წინსვლისა კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

საუბრის გეგმა

I. 1 მაისს საბჭოთა ხალხი ეგებება სოციალისტური მშენებლობის ახალ გამარჯვებათა და სოციალისტური კულტურის აყვავების პირობებში. 1 მაისის დღესასწაული ტარდება ჩვენში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის გაწვლილი მზადების ნიშნით. ამ არჩევნებს საფუძვლად უდევს სტალინური კონსტიტუცია, ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია მსოფლიოში. არჩევნებისათვის სანიმუშოდ მომზადებით უზრუნველვყოთ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ახალი გამარჯვებანი, ახალი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში.

2. 1 მაისს ჩვენ ვეგებებით დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში. კაპიტალისტური სამყარო, რომელსაც წინაალმდეგობები ჯიჯგნის, ხსნას ომში ეძებს. ფაშისტური გერმანია და იტალია უკვე აშკარად აწარმოებენ სისხლისმღვრელ ომს გმირი ესპანელი ხალხის წინააღმდეგ. ამ პროვოკაციულად ცდილობენ ძოაწყონ ხალხთა გამანადგურებელი ახალი ხოცვა-ჟლეტა (გერმანიამ მოახდინა ავსტრიის ოკუპაცია და ამზადებს ჩეხოსლოვაკიაზე გალაშქრებას; პოლონეთის ულტიმატუმი ლიტვისადმი; აგრესორთათვის წაყრუება ბურჟუაზიული დემოკრატიული ქვეყნების მთავრობათა მხრივ და სხვ.). იაპონიის იმპერიალიზმი მხეცურად სპობს გმირ ჩინელ ხალხს. ომის ფაშისტი გამჩაღებლები ამზადებენ ლაშქრობას მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოს—სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ყოველივე ეს გვაიძულებს ფხიზლად ვიყოთ და გვახსოვდეს, რომ „ჩვენ გარშემორტყმული ვართ ადამიანებით, კლასებით, მთავრობებით, რომლებიც აშკარად გამოხატავენ უდიდეს სიძულვილს ჩვენდამი. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე შემოსევისაგან ჩვენ მუდამ ბეწვზე ვკიდივართ“ **(ლენინი.** ტ. XXVII, გვ. 117).

3. ტროცკისტ-ბუხარინელ-რიკოველი არამზადები, ფაშიზმის პირსისხლიანი ქოფაკები, აპირებდნენ ჩვენი ქვეყნის ნაწილ-ნაწილ გაყიდვას, კაპიტალიზმის აღდგენას. ისინი ჰკლავდნენ საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილებს, მავნებლობდნენ, ცდრებს აწვდიდნენ სახელმწიფო საიდუმლოებებს, ემზადებოდნენ გაეხსნათ ფრონტი მტრებისათვის სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში, მაგრამ გამომძიებლებულ იქნენ სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის მიერ და მოსპობილ იქნენ როგორც ცოფიანი ძაღლები.

მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ და გვახსოვდეს კაპიტალისტური გარემოცვა. ჩვენი მტრები შემდეგშიაც შეეცდებიან ძირი გამოუთხარონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას, ჩვენს ზურგში გამოგზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, მავნებლებს. ჩვენი ამოცანაა გავაასკეცოთ ჩვენი ბოლშევიკური სიფხიზლე, ვიცოდეთ მტრის გამოცნობა, რა ნიღაბსაც არ უნდა ეფარებოდეს იგი. „საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა არავითარ „შემთხვევითობას“ და ჩვენი გარეშე მტრების არავითარ ოინებს არ შეეხვდეთ მოუმზადებელი...“ **(სტალინი).** ჩვენს სახელოვან შინსახკომელებთან ერთად, რკინისებური სტალინური სახკომის ამხ. ეიოვის მეთაურობით ძირფესვიანად ამოვაგდებთ საზიზღარ გამცემელთა, ფაშიზმის პირსისხლიან ქოფაკთა, ტროცკისტ - ბუხარინელ მახინჯთა ყველა ბუდეებს.

4. ახალი მსოფლიო ომის მოსალოდნელი საფრთხის პირობებში ფართოვდება და მტკიცე ხდება ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის სახალხო ფრონტი. მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობა ესპანეთისა და ჩინეთის გმირი ხალხების მხარეზეა, რომლებიც თავდადებით იბრძვიან თავისი დამოუკიდებლობისათვის ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

1 მაისის დღეებში სსრ კავშირის მუშათა კლასი და ყველა მშრომელნი განამტკიცებენ თავიანთ ინტერნაციონალურ კავშირს საერთაშორისო პროლეტარიატთან, მსოფლიოს ყველა ჩაგრულ ხალხებთან. ამ კავშირის განვითარება და განმტკიცება, საერთაშორისო პროლეტარიატის სერიოზულ ღონისძიებათა შეერთება საბჭოთა ხალხის ყიდევ უფრო დიდ ღონისძიებებთან—მთელ მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აუცილებელი პირობაა.

5. მძლავრ ციხე-სიმაგრედ აღმართულა საბჭოთა კავშირი კაპიტალისტურ ზღვაში. მსოფლიოში ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელმაც არ იცის კრიზისები, სიღატაკე და უმუშევრობა. სტალინურმა კონსტიტუციამ მაღლა დააყენა საბჭოთა მოქალაქის წოდება. უზრუნველჰყო მისთვის შრომის უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, უზრუნველყოფა მოხუცებულობაში და სხვ. სტალინური კონსტიტუციის დროშის ქვეშ ჰყავთ და ზეიმობს სოციალისტური დემოკრატიზმი, სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა.

6. სტალინური ხუთწლედების წარმატებით შესრულება, სტახანოვური მოძრაობის განვითარება ამრავლებს ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის გამარჯვებებს (აღნიშნეთ სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება ჩვენს მრეწველობის ცალკეულ დარგებში და მოიყვანეთ თქვენი სანიმუშო — [illegible] ციფრები და სხვ.). მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, რომელსაც ლენინ-სტალინის დიადი პარტია ხელმძღვანელობს, შესაძლებელია ისეთი გამარჯვებანი, როგორიცაა ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობა, და ისეთი გმირები, როგორიცაა პაპანინელთა სახელოვანი ოთხეული. კაპიტალისტურ სამყაროში შეუძლებელია ასეთი გმირობა: ამისათვის იქ არ არის ნიადაგი, არ არის საფუძველი.

7. შევეგებოთ 1 მაისს ახალი გამარჯვებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე! უფრო ფართოდ და ღრმად გავშალოთ სტახანოვური მოძრაობა! განუწყვეტლივ ვიბრძოლოთ ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმის ახალი და ახალი გამარჯვებებისათვის!

უფრო მტკიცედ, უფრო ძლიერ შეეამჭიდროვოთ ჩვენი რიგები ლენინ-სტალინის მშობლიური პარტიის გარშემო!!

საპირველმაისო ლიტერატურის მოკლე მაჩვენებელი

ვ. ი. ლენინი. პირველი მაისი. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1937. 80 გვ. ამ კრებულში შედის ვ. ი. ლენინის მიერ 1 მაისის საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულთან დაკავშირებით დაწერილი ყველა სტატია და ფურცელი.

ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი. სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1937. 222 გვ.

ამხ. ივანოვის წერილი და ამხანაგ სტალინის პასუხი. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1938. 16 გვ.

ი. ბ. სტალინი. სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა. 1937. 16 გვ.

ი. ბ. სტალინი. სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. მოხსენება საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე 1936 წლის 25 ნოემბერს. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1936. 46 გვ.

ი. სტალინი. საუბარი ამერიკის საგაზეთო გაერთიანება „სკრიპსჰ

პარტიული ცხოვრება

მკაფიო—შინაარსიან მრავალფეროვანმა პარტიულმა ცხოვრებამ თავისი გამოსახულება უნდა ჰპოვოს საანგარიშო მოხსენებებში

მუშაობა ჩასთვალეს დამაკმაყოფილებლად, მაგრამ...

ამიერ-კავკასიის რკინიგზის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს პირველადი პარტიული ორგანიზაცია (ლენინის რაიონი) საანგარიშო - საარჩევნო პარტიულ კრებას მომზადებული შეხვდა. პარტორგანიზაციაში 9 კომუნისტი ირიცხება. აქედან საანგარიშო პარტიულ კრებას დაესწრო 7 ამხანაგი, 2 ამხანაგი კი გადასამზადებელ კურსებზე მოსკოვშია მივლინებული.

პარტორგანიზაციის განვლილი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტორგმა ამხ. კ. შალაგანიანმა. პარტორგის მოხსენება არ იყო თვითკრიტიკული. მან ბეერილაპარაკა თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოში მოკალათებული, პარტბილეთს ამოფარებული მტრების მავნებლური მუშაობაზე და გაკვრით შეეხო პარტორგანიზაციაში ამჟამად არსებულ ნაკლოვანებებს. კ. შალაგანიანი აგრეთვე დიდხანს შეჩერდა სამეურნეო საკითხებზე. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარტორგი სამეურნეო საკითხებზე უფრო მეტს მუშაობდა, ვიდრე პარტიულ საკითხებზე. პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიაში ახალ წევრთა მიღება დაიგვიწყა. პარტიაში მიღების განახლებიდან დღემდე პარტიის წევრობის კანდიდატად არცერთი კაცი არ მიუღიათ. მასობრივი პოლიტიკური მუშაობის სუსტად გაშლის შედეგად პარტორგანიზაციასთან თანამგრძნობთა ჯგუფი არ არსებობს. ნაკლებად იბრძოდნენ ბოლშევიზმის დაუფლებისათვის. 1938 წლის მარტამდე არცერთი პოლიტწრკ არ იყო ჩამოყალიბებული. მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი.

— ჩვენს ორგანიზაციას ერთგვარ მიღწევებთან ერთად მთელი რიგი სერიოზული დეფექტები აქვს, — ამბობს ამხ. ხანუმიანი.—მაგ. ბოლშევიკების პარტიის ისტორიის შესწავლა მხოლოდ ახლახან დავიწყეთ. საქ. სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. კედლის გაზეთის მუშაობას ბოლო დრომდე არ ექცეოდა ყურადღება და სხვ.

ამხ. ქვათაძე აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში ბევრია ისეთი ადამიანები, რომელთა პარტიაში მიღება შეიძლება და სასურველიც არის, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციას ამ მხრივ არაფერი გაუკეთებია. არიან კომუნისტები, რომლებსაც პარტიული დავალება არა აქვთ. არ მოწმდება პარტიული კრებების დადგენილებათა შესრულება. გაშლილი არ არის სოციალისტიბრება, სტახანოვური მუშაობა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. გ. კაზანჯიანცმა, სტეფანოვმა, ბ. თეთრაძემ, გ. გუგუშვილმა და თ. სალარაძემ, რომლებმაც პარტორგანიზაციის განვლილი მუშაობა მკვეთრად გააკრიტიკეს.

როგორც მოხსენების, ისე მოკამათეთა სიტყვების მიხედვით კრებას პარტორგანიზაციის განვლილი მუშაობა სუსტად უნდა ჩაეთვალა, მაგრამ ბოლოს რატომღაც დამაკმაყოფილებლად შეიფასეს.

პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი.

კრებამ პარტორგანიზატორად აირჩია ამხ. კ. შალაგანიანი. საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის კონფერენციაზე დელეგატად არჩეულ იქნა ამხ. გ. გუგუშვილი.

ივ. ჟურულოვი

თვითკრიტიკის ნიშნით

ხუთი წუთის დაგვიანებით დაიწყო პარტიული საანგარიშო-საარჩევნო კრება ამიერ - კავკასიის რკინიგზის თბილისის ამხანაგ ბერიას სახელობის ტექნიკუმში.

ტექნიკუმის პარტორგანიზაცია აერთიანებს პარტიის 6 წევრს და ორ კანდიდატს. კრებას არც ერთი არ დაკლებია.

დიდი ინტერესით მოიხმინეს პარტორგის ამხ. დავითხანოვის საანგარიშო მოხსენება. მომხსენებელმა ერთერთ ნაკლად აღნიშნა საგიტაციო მუშაობის სისუსტე, აღიარა აგრეთვე, რომ არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებიათ თანამგრძნობთა შორის.

კრება ჩატარდა ბოლშევიკური თვითკრიტიკისა და კრიტიკის ნიშნით. კამათში გამოსულმა ამხ. ბურდულმა აღნიშნა, რომ ძალიან სუსტად მიმდინარეობს პარტიაში კომკავშირელების მიღება. პარტიაში მიღების განახლებიდან დღემდე მიღებულია მხოლოდ 7 კაცი. ეს იმ დროს, როცა ტექნიკუმის კომკავშირის ორგანიზაციაში 210 წევრი არიცხება.

კამათში გამოვიდა რკინიგზის პოლიტგანყოფილების მუშაკი ამხ. სეირანოვი, რომელმაც თვითკრიტიკის წესით აღნიშნა, რომ პოლიტგანყოფილება ვერ უწევს კონკრეტულ დახმარებას ტექნიკუმის პირველადს პარტიულ ორგანიზაციასო.

ილაპარაკა აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგემ ამხ. ხოჯაძემ. მან დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის გაჯანსაღებისათვის. კრებამ პარტორგად აირჩია ამხ. დავითხანოვი. მის მოადგილედ არჩეულ იქნენ ამხ. მშვენიერაძე და სალაყაია. ხარაიონო პარტკონფერენციაზე დელეგატად კრებამ აირჩია ამხ. დომენტი მშვენიერაძე.

ტ. ჯაბარშიშვილი

საანგარიშო-საარჩევნო კრებები თელავის რაიონში

საანგარიშო-საარჩევნო კრებები თელავის რაიონის პარტორგანიზაციებში 16 აპრილს დაიწყო. ამ დღეს ანგარიშების ჩატარება და არჩევნები ჩატარდა ყარაჯალის ამხ. მახარაძის და კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობების პირველადს პარტორგანიზაციებში.

ყარაჯალის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის კრება მოწვეული იყო დღის 8 საათისათვის, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგები დროზე გამოცხადდნენ, საანგარიშო-საარჩევნო კრება ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. პარტორგანიზაციის განვლილი მუშაობის გარშემო საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტორგი ამხ. დეიფ მუსა ოღლი.

პარტორგის მოხსენება ზოგადი ხასიათისა იყო. მან კრიტიკასა და თვითკრიტიკას გვერდი აუარა. მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე მომხსენებელმა სრულებით არაფერი სთქვა, ეს ნაკლი გამოასწორეს კამათში გამოსულმა ამხანაგებმა.

კრების მონაწილე 14 კაციდან სიტყვებით გამოვიდა 10 ამხანაგი. მათ მკაცრად გააკრიტიკეს პარტორგანიზაციის განვლილი მუშაობა და პარტორგის მუშაობის სუსტი მხარეები.

ნასიბ მურად ოღლიმ აღნიშნა, ჩვენმა პარტორგანიზაციამ შეხძლო გამოემეღავნებინა ხალხის მტერი, რომელიც ყარაჯალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ იყო მოკალათებული და მავნებლურად მოქმედებდა.

— ჩვენს პარტორგს რომ დროზე მიექცია ყურადღება კომუნისტების სიგნალებისათვის, იმ არამზადას კიდევ უფრო ადრე ვამხელდით,—განაცხადა მან, — ამტომ თვითეულმა კომუნისტმა კიდევ მეტად უნდა გაამახვილოს რევოლუციური სიფხიზლეო.

აბდულ ხოფიევმა, ისლამ შაბანოღლიმ, ნიკო დალაქიშვილმა, ბაშირ კაზალოვმა და სხვ. გაბედულად გააკრიტიკეს პარტორგის მოღვაწეობა და აღნიშნეს, რომ პარტმასობრივი მუშაობა სუსტად არის გაშლილი, არადამაკმაყოფილებელია კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობაო და სხვ.

კრებამ პარტორგად აირჩია დეიფ მუსა ოღლი და სარაიონო კონფერენციის 3 დელეგატი, მათ შორის ერთი სათათბირო ხმის უფლებით.

საანგარიშო-საარჩევნო კრებას დაესწრო საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი ამხ. დ. ცირეკიძე.

შ. მაჩავარიანი.

პარტკომის მდივნის ანგარიში არ იყო თვითკრიტიკული

(თბილისი, ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებელი ქარხანა)

ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებელი ქარხნის (კიროვის რაიონი) პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება 10 საათს გაგრძელდა.

პარტკომის მდივნის ამხ. მ. ბაღდასაროვის საანგარიშო მოხსენება განვლილი მუშაობის შესახებ თვითკრიტიკული არ იყო. კამათში გამოსულმა კომუნისტებმა სამართლიანად აღნიშნეს მოხსენების ეს ნაკლი.

— ჩვენმა პარტკომის მდივანმა,— ამბობდნენ გამოსული ამხანაგები.— არ გააკრიტიკა თავისი მუშაობა, როგორც საჭირო იყო. მან გაზვიადებით ილაპარაკა მიღწევებზე, ხოლო გაკვრით შეეხო პარტკომის მუშაობის სუსტ მხარეებს.

— მაგალითად,—ამბობს ამხ. პეტროსიანი,—ამხ. ბაღდასაროვმა თავის საანგარიშო მოხსენებაში განსაკუთრებით ილაპარაკა პარტიაში მიღებასა და თანამგრძნობთა ჯგუფის ზრდაზე, ამასთანავე მან არაფერი სთქვა იმის შესახებ, თუ რა მუშაობას აწარმოებდა იგი პარტიაში ახალ მიღებულთა შორის. სინამდვილეში პარტკომი თანამგრძნობთა კომუნისტურად აღზრდის საკითხს ყურადღებას არ აქცევდა. თანამგრძნობები აქტიურად არ არიან ჩაბმულნი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მუშაობაში, მათ არა აქვთ დავალებები, პარტკომი მათთან არ ატარებს საუბრებს საშინაო და საერთაშორისო საკითხებზე, ჯეროვნად არ ზრუნავს მათი იდეური დონის ამაღლებისათვის.

კრებაზე აღნიშნეს, რომ პარტკომის მდივანმა ამხ. ბაღდასაროვმა თავის საანგარიშო მოხსენებაში გადაჭარბებით შეაქო საამქროს აგიტატორების პეტროსიანისა და ვენეტიკიანის მუშაობა. სინამდვილეში კი ისინი სამაგალითონი არ არიან, პირიქით, ზოგჯერ ისინი არაორგანიზებულად ატარებენ საგიტაციო საუბრებს, ხშირად კი მხოლოდ გაზეთის ხმამაღლა წაკითხვით ჯმაყოფილდებიან. ამისათვის საჭირო იყო მათი გაკრიტიკება და არა შექება. ამხ. ვენეტიკიანი საამქროს კედლის გაზეთის რედკოლეგიის წევრია, ეს კედლის გაზეთი უკვე მესამე თვეა აღარ გამოდის. ვენეტიკიანი სრულებით არ იწუხებს თავს ამ საქმისათვის. პარტკომის მდივანმა არც ამ მხრივ გააკრიტიკა იგი.

— აქ ხშირად ირღვევოდა შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპი, იყო პარტიის წესდების დარღვევის შემთხვევები,—განაცხადა ამირგულოვმა,—ძალიან ხშირად პარტკომის სხდომას მხოლოდ ორი კაცი ესწრებოდა და ისე გამოჰქონდათ მთელი რიგი სერიოზული დადგენილებანი, რომ პარტკომის წევრთა უმრავლესობამ ამ დადგენილებებზე არაფერი იცოდა.

გასულ წელს მე სტახანოველი ვიყავი,—ამბობს ამხანაგი გ. სიფკაევი,—წელს კი ჩამოვრჩი. ამის მიზეზი პარტკომის მდივანს ერთხელაც არ უკითხავს. ის არ დაინტერესებულა ჩემი მდგომარეობით, არ ცდილა დამხმარებოდა ავანგარდიული როლის ამაღლებაში. ჩვენს საამქროში მომუშავე კომუნისტებს აკლიათ პარტკომის მზრუნველობა და მტკიცე ხელმძღვანელობა. აი რატომ ჩამოვრჩი მე და ჩამორჩა ზოგიერთი ჩემი ამხანაგიც.

პარტიული კომიტეტი არ ახდენდა კრებების მიერ მიღებულ ღონისძიებათა შესრულების შემოწმებას, მიღებული ღონისძიებები უმთავრეს შემთხვევაში ქაღალდზე რჩებოდა. ამის შესახებ ილაპარაკეს ამხ. ამირგულოვმა და ბედიაშვილმა. მათვე აღნიშნეს, რომ პარტიული კომიტეტი კომუნისტების განცხადების განხილვას აჭიანურებდა. ზოგიერთი განცხადება ორ და სამ თვემდინ ხელუხლებლად ეწყო პარტკომის მაგიდის უჯრაში. მას ავიწყდებოდა, რომ ამ განცხადებების უკან ცოცხალი ადამიანები იდგნენ.

არც სიფხიზლის ამაღლების მხრივ იყო აქ ყველაფერი თავის რიგზე. პარტკომი ნაკლებად უსმენდა პარტიული მასების სიგნალებს. იყო შემთხვევა, რომ ერთერთი საამქროს კომუნისტებმა სიგნალი მისცეს ხალხის ამჟამად გამოქმეავნებული მტრის მავნებლური მუშაობის შესახებ. პარტკომმა იმის ნაცვლად, რომ სერიოზულად შეესწავლა, ეს საკითხი და გამომძიებლებისა შენიღბული მტერი, გამოუძახა იმ კომუნისტებს, რომლებმაც სიგნალი მისცეს და მიუთითა, კინკლაობასა და ჩხირკედელაობას თავი მიანებეთო... მალე ამ კომუნისტთა სიგნალები დადასტურდა — მავნებელი გამომეავნებულ იქნა შინსაკომის ორგანოების მიერ. პარტკომი მხოლოდ მაშინ მიხვდა თავის შეცდომას.

მოკამათენი შეეხნენ პარტიული კრებების მომზადების საკითხს, აღნიშნეს, რომ კრებები ზოგჯერ წინასწარ მოუმზადებლად იწვეოდა. არასოდეს კრება დანიშნულ დროზე არ იწყებოდა, ზოგჯერ კრება მეტად ჭიანურდებოდა, იმის გამო, რომ პარტიულ კომიტეტს ზოგიერთი საკითხი დაუმუშავებლად გამოჰქონდა კრებებზე და საქმიანი კამათის ნაცვლად კრებაზე ხშირად ადგილი ჰქონდა ლაყბობას.

საერთოდ, ქარხანაში, — ამბობენ კამათში გამოსული ამხანაგები, — სერიოზულად არ ეკიდებიან ტექსწავლებას. სტახანოველთა ახალი კადრების გამოზრდას, არ ხდება მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

პარტკომის მდივანმა თავის საბოლოო სიტყვაში სცადა „ობიექტური“ მიზეზებით გაემართლებინა თავი. „ყველა საკითხებზე ჩემთან მოდიოდნენ მუშები, ყველაფერს მე მეკითხებოდნენ, ყველაფერს მე ვაკეთებდი და ამიტომ შინა-პარტიული მუშაობის საკითხები ჩამომრჩაო“, აცხადებს ის.

კამათში ჩაწერილი იყო 36 კაცი, გამოვიდა 26. კამათში გამოვიდა აგრეთვე ამხ. მილშტეინი (26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანი). უნდა შევნიშნოთ, რომ კამათში გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ უმთავრესად სამეურნეო საკითხებზე, მათ ვერ დაუკავშირეს სამეურნეო საკითხები პარტიული მუშაობის განხილვას, არ გააკრიტიკეს რაიკომი, თუმცა მასაც მიუძღვის ბრალი პარტკომის სუსტ მუშაობაში, არ აღნიშნეს, რომ რაიკომის მხრით ჯერ კიდევ სუსტია ხელმძღვანელობა პარტიული განათლების საქმეში.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, პარტკომის განვლილი მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა და მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

პარტკომში ასარჩევად დასახელებულ იქნა 15 კაცი. კანდიდატურების ცალცალკე განხილვის დროს გამოირკვა, რომ დასახელებულნი ყველანი მოწონავე ადამიანები არიან, ამის გამო ასარჩევთა სიაში დასახელებულთაგან ყველა კანდიდატურა იქნა შეტანილი.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 7 კაცი. პარტკომის მდივნად აირჩიეს ამხ. მ. ბაღდასაროვი.

მართალია, კრებამ ცოცხლად ჩაიარა, კომუნისტები აქტიურად გამოვიდნენ და ბოლშევიკური სიმახვილით ამხელდნენ ნაკლოვანებებს, მაგრამ კრებაზე არ იყო დაცული დისციპლინა.

ალ. გვინჩიძე

26 კომუნარის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. გრიგოლ მოსიძე პარტიული კომიტეტის წევრებს ესაუბრება საანგარიშო მოხსენების შედგენაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

უპასუხისმგებლობას ბოლო უნდა მოეღოს

(„კომუნისტის“ ბრიგადის მასალებიდან)

„კომუნისტის“ რედაქციაში ყოველდღე დიდი რაოდენობით შემოდის მშრომელთა წერილები. ყველა ამ წერილის გამოქვეყნება შეუძლებელია, ჯერ-ერთი იმიტომ, რომ გაზეთი ყველას ვერ დაიტევს და მეორე—იმიტომაც, რომ მამხილებელ წერილში აღნიშნული ფაქტები წინასწარ შემოწმებას მოითხოვს.

რედაქციაში დიდძალი საჩივრების მიღება იმით აიხსნება, რომ ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენგან გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ღებულობენ მშრომელთა საჩივრებს, დროზე არ ეხმაურებიან მათ, ბევრ შემთხვევაში დანაშაულებრივად აყოვნებენ საჩივრების განხილვას და მათზე პასუხის გაცემას.

ჩვენ შევამოწმეთ მშრომელთა საჩივრების განხილვის მიმდინარეობა თბილისსა და მის რაიონში, ბორჯომის, ხაშურის, გორის, კასპის, ქუთაისის, ცხაკაიას და აბაშის რაიონებში. შემოწმებამ დაადასტურა ბევრი ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელის მიუტევებელი უპასუხისმგებლობა და გულგრილობა ამ საქმეში.

არის შემთხვევები, როცა რედაქციისაგან გაგზავნილი მასალის საფუძველზე ჩატარებულია საჭირო გამოკვლევა, საქმე მოგვარებულია, მაგრამ საჭიროდ არ სცნობენ ეს რედაქციას და წერილის ავტორს. ასე, მაგალითად, საქართველოს სს რესპუბლიკის მ.-გ. მილიციის სამმართველოს გასული წლის ნოემბერში გავუგზავნეთ რედაქციაში შემოსული სიგნალი იმის შესახებ, რომ ქარელის უბნის მილიციის ინსპექტორი შ. გასიშვილი მოქალაქეებს ფიზიკურ შეურაცყოფას აყენებსო. გასიშვილს დაუდასტურდა ეს და სასჯელიც დაედო. რედაქციისათვის კი არავის უცნობებია.

რედაქციამ გასული წლის ნოემბერში მიიღო ავქსენტი მიქაძის საჩივარი იმის შესახებ, რომ მისი შვილი ეერმანი დაუმსახურებლად გარიცხეს მცხეთის არასრული საშუალო სკოლიდან. კომკავშირის თბილისის რაიონის კომიტეტმა, რომელსაც ეს წერილი რედაქციისაგან ჰქონდა გაგზავნილი, თავი არ აიტკივა საქმის გამორკვევისათვის, ხოლო როცა რედაქციამ შეისწავლა მიქაძის საქმე და ამის შესახებ წერილი დაიბეჭდა, იგი სკოლაში აღადგინეს. კომკავშირის რაიკომი მხოლოდ ამის შემდეგ გამოუდგა დამნაშავის ძებნას.

კასპიდან სოფლკორი გვწერდა, რაიმალაზიის გამგე რ. არუწოვი ფეითნებობს, როგორც უნდა, ისე ანაწილებს მანუფაქტურასო. კასპის რაიკოოპკავშირმა დაადასტურა ეს და არუწოვი სამუშაოდან მოხსნა.

გორის რაიონის სოფ. რუისის მცხოვრებ კ. ჯანიაშვილზე გვწერდნენ, რომ მან თავისი საცხოვრებელი ბინა სავაჭროდ გადააქცია, ათასგვარ გარყვნილებას ეწევა, ბავშვებს სცემსო და სხვ. ჯანიაშვილს დაუდასტურდა წერილში აღნიშნული ფაქტები და მისი საქმე სახალხო სასამართლოს გადაეცა.

გორიდან გვწერდნენ, სოფ. პატარა მეჯვრისხევის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები—ვ. ლიჩელი და ი. ილურიძე თავხედობენო. ლიჩელმა გაფლანგა სოფლის წყაროს გასაკეთებლად კოლმეურნეებისაგან აღებული ფული, ილურიძე გლეხებს სცემსო და სხვ. გორის რაიპროკურატურამ დაადასტურა ეს და ბრალდებულების საქმე სახალხო სასამართლოს გადასცა.

ჯასპის რაიონის სოფ. ზემო-ხანდაკის მცხოვრები ს. გოგიაშვილი რაიონის ხელმძღვანელობას უსაყვედურებდა, რომ მას, ერთპიროვნულ მეურნეს და მოხუცს, ყურადღებას არ აქცევენ, მისი ადგილის კოლმეურნეობის ფართობში მოყოლის გამო, სანაცვლოდ მეზობლის მიწა მისცეს. აქ მან ვენახი გააშენა, ოთხი წელიწადი ფლობდა და ახლა კი ჩამოართვეს—„ეს ადგილი მის პირველ მეპატრონეს უნდა დაუბრუნოთო“. გოგიაშვილმა რაიონის ხელმძღვანელობას მიმართა. საქ. ცაკშიაც შეიტანა განცხადება. ცაკმა შეისწავლა საქმე და ამხ. ფ. მახარაძემ კასპის რაიალმასკომის თავმჯდომარეს მისწერა, გოგიაშვილს უკანონოდ ართმევენ მიწას რაშიაც საბჭოთა კანონების დარღვევას ვხედავო. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხი დღემდე არაა მოგვარებული.

ამგვარად, ბევრი საქმის გამო მიღებულია ზომები და ნაკლი გამოსწორებულია, მაგრამ ჩამოთვლილთა შორის ჩვენ არცერთზე პასუხი არა გვაქვს. ავტორები პასუხს მოითხოვენ, ჩვენ გახსენებას გახსენებაზე ვგზავნით, მაგრამ პასუხისათვის თავს არავინ იწუხებს.

იშვიათი არაა შემთხვევა, როცა გამოსაოკვეევად გაგზავნილ წერილს სხვას გადასცემენ და ამით თავიდან იხსნიან პასუხისმგებლობას. თუ განსახკომი გაზეთში გამოუქვეყნებელ კორესპონდენციას რომელიმე რაიონის განათლების განყოფილებას გადასცემს, ან ქალაქის (თბილისის) საბჭო რომელიმე რაისაბჭოს, ამით მათ პასუხისმგებლობა არ ეხსნებათ. მით უმეტეს, რომ რედაქციამ არ იცის, რა გზით აწარმოებენ ისინი ამა თუ იმ საჩივრის გამორკვევას. დროა შეიგნონ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, რომ რედაქციებიდან მათ სახელზე გაგზავნილ წერილებს ისინი საქმის მოგვარებამდე უნდა მისდევდნენ.

ცხაკაიას რაიონიდან გვწერდნენ, რომ VII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. გვარამია კოლმეურნეობის ქონებას ახიავებს, მისი უყურადღებობით სამი სული მუშა-პიროუტყვი დაიხოცაო და სხვ. ჩვენ ეს წერილი გავუგზავნეთ ცხაკაიას პარტრაიკომს, რომელსაც წერილი მიწგანისათვის გადაუცია, შედეგი კი დღემდე არ იციან.

საქ. მიწსახკომის კადრების გაწყოფილებას 7 თებერვალს გავუგზავნეთ გ. გურჯიას წერილი. მის ამხ. კობახიძე ორკვეევდა, დასკვნის დასაწერად კი ბალიაშვილს გადასცეს. ამ უკანასკნელმა კობახიძეს დაუბრუნა, მაგრამ წერილი რატომღაც მესამე პირის—ერიაშვილის მაგიდის უჯრაში აღმოჩნდა. პასუხი არცერთს არ უცნობებია.

24 იანვარს გადაგზავნილ წერილზე (ავტორი—ი. მანუაშვილი) მიწსახკომს ორჯერ შევახსენეთ. იქ გურჯაანის მტკ-ის დირექტორისათვის წერილის გადაგზავნა მხოლოო 15 მარტს გაახსენდათ, შედეგებზე კი ჯერაც არაფერი იციან.

საქართველოს კავშირგაბმულობის სამმართველოს გავუგზავნეთ კორესპონდენცია, რომელშიც ავტორი ამხელდა ასპინძის ფოსტის უთავო მუშაობას, მშრომელებისათვის ჟურნალ-გაზეთებისა და კორესპონდენციების თავის დროზე მიუნდობლობას და სხვ. აქედან ეს წერილი კავშირგაბმულობის ასპინძის რაიგანყოფილებას გადასცეს და ამით „ვალი მოიხადეს“. ამავე სამმართველოს გადავეცით ასეთივე ხასიათის წერილი სოფ. ფიუნნარის (აჭარა) არასრული საშუალო სკოლის შესახებ. ეს წერილიც კავშირგაბმულობის აჭარის განყოფილების უფროსს გადასცეს და ამით დაკმაყოფილდნენ.

„სოიუზპეჩატის“ განყოფილებაში (ამხ. ფულარიანი) საერთოდ ბევრ წერილზე აცხადებენ, გადავგზავნეთ, სადაც საჭირო იყოო, მაგრამ ვის ან როდის გადაეგზავნა წერილი, ამაზე არაფერი იციან, რადგან აღრიცხვას საერთოდ არ აწარმოებენ.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარეს გასული წლის ოქტომბერში გადავუგზავნეთ მ. მახარაძის წერილი, რომელიც ეხებოდა საბჭოს წევრის ანანიაშვილის უკანონო მოქმედებას. ეს წერილი შესამოწმებლად გადასცეს საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს. წერილზე საერთო განყოფილებაში დღემდე არ წარუდგენიათ პასუხი. ასევე უყურადღებოდ დასტოვეს წერილი წყალკანალტრესტის დამცველთა გაერთიანებული რაზმის უფროსის ს. პაპინაშვილის უხეირო მუშაობის შესახებ. ეს წერილი წყალკანალტრესტის მმართველს გადასცეს, პასუხის მოთხოვნისათვის კი თავი აღარ შეუწუხებიათ.

აბაშის რაიპროკურორს რაიმილიციისათვის მშრომელთა ათი საჩივარი გადაუცია, ათივე უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ქუთაისის რაიპროკურატურაში ვერ გაიგებ, რომელი წერილი როდის მიიღეს. უმრავი წერილი აქვთ გაგზავნილი სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ შედეგებზე არაფერი იციან.

ზოგი რაიპროკურატურის მუშაკები სრულიად უმართებულოდ მოითხოვენ, რომ კორესპონდენცია იძლეოდეს ამომწურავ ცნობებს ბრალდებაზე. ასე, მაგალითად, ბორჯომის რაიპროკურატურის სახალხო გამომძიებელი ლ. კანდელაკი საჩივრის გაჭიანურებას იმით ასაბუთებს, რომ ავტორის სახელი არასრულად წერია და არ ვიცი, ვინ გამოვიძახო დამატებითი ცნობებისთვისო. ჩვენს კითხვაზე, თუ როგორ აპირებს მაინც იგი წერილში აღნიშნული ფაქტის შემოწმებას, გვიპასუხა: „გამოვიძახებ წერილში აღნიშნულ ბრალდებულს, ვაჩვენებ ავტორის ხელმოწერას (?!), მეტყვის, ვინ არის იგი და ამით მივაგნებ კაცს, რომელიც მომაწოდებს საჭირო დამატებით ცნობებსო“. სახალხო გამომძიებელმა არ იცის, რომ ავტორის ვინაობა საიდუმლოდ უნდა ინახებოდეს. რომ მისი გამომძიებელი ჯანონით ისჯება. ზოგი პასუხისმგებელი მუშაკი, რომელსაც მამხილებელი წერილები უვარდება ხელში, ყურადღებას არ აქცევს რედაქციისგან საგანგებოდ მიწერილ გაფრთხილებას ავტორის ვინაობის საიდუმლოდ შენახვის შესახებ.

კიდევ უამრავი ასეთი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლებოდა მთელი რიგი ორგანიზაციებიდან.

ბევრგან შემოსული წერილების აღრიცხვაც ვერ ჰოუწესრიგებიათ. დაწესებულებაში ხან ვინ იღებს რედაქციიდან მოსულ მასალას და ხან ვინ, ნაცვლად იმისა, რომ ასეთი წერილები ერთი პირის ხელში იყრიდეს თავს (საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომი, ბორჯომის რაიგანათლების განყოფილება და სხვ.)

ამით არის გამოწვეული რომ ძალიან ბევრი წერილის შესახებ გვიცხადებენ არ მიგვიღიაო. აქ ფოსტის უხეირო მუშაობაც ახდენს უარყოფით გავლენას.

დროა შეიგნონ საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა და ყველამ, ვისაც საქმე აქვს რედაქციებიდან გაგზავნილ წერილებთან, რომ ეს წერილები თავის დროზე გამოხმაურებას საჭიროებენ. გულისხმიერად უნდა მოწმდებოდეს წერილებში აღნიშნული ფაქტები, დროულად გავრდებოდეს მითითებული ნაკლოვანებები და სათანადო ცნობა დროულადვე ეგზავნებოდეს რედაქციებს და წერილების ავტორებს.

პრ. რატიანი

აღმოვუხვრათ ნაკლოვანებები, გავაუმჯობესოთ პარტიული მუშაობა

(თბილისი, რკინიგზის მე-6 სალიანდაგო უბანი)

საანგარიშო-საარჩევნო კრება დანიშნულ დროზე მხოლოდ 5 წუთით გვიან გაიხსნა. ორგანიზაციის 30 წევრ-კანდიდატიდან კრებას ესწრება 26, ხოლო 4 ამხანაგი საპატიო მიზეზების გამო არ ესწრება.

პარტკომის მდივანი ამხ. გიორგი ასლამაზოვი თავის საანგარიშო მოხსენებაში შეეხო პარტიული ცხოვრების თითქმის ყველა საკითხს. მან ჯულმოდგინედ ჩამოთვალა საანგარიშო პერიოდში პარტორგანიზაციის მიერ მობოვებული მიღწევები, დაასახელა სათანადო ციფრები და მოიყვანა ზოგიერთი ფაქტი.

ამხ. ასლამაზოვს არც ნაკლოვანებებისთვის აუვლია გვერდი. მან ილაპარაკა პარტორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებებზე პარტიის რეზერვებთან მუშაობის საქმეში, პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენებაში და სხვ.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მოხსენება მაინც სუსტი იყო; მომხსენებელი ყველაფერზე ზოგადად ლაპარაკობდა, არ ასახელებდა კონკრეტულ ფაქტებს და, რაც მთავარია, მან სავსებით დაივიწყა ცოცხალი ადამიანები. ამხ. ასლამაზოვმა სრულებით არ გააკრიტიკა ცალკეული კომუნისტების მუშაობა. სამაგიეროდ მკაცრად გააკრიტიკა „ზოგიერთი ამხანაგები“, „ბევრი ამხანაგები“ და ა. შ.

მთელ მის მოხსენებაში დასახელებული არ ყოფილა არცერთი კომუნისტის გვარი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამხ. მიხეილ ბასიაშვილს, რომელიც მომხსენებელმა გააკრიტიკა კედლის გაზეთის შესახებ ლაპარაკის დროს. მაგრამ როცა ამხ. მ. ბასიაშვილმა სიტყვა აიღო, საფუძვლიანად უკუაგდო ეს „კრიტიკა“, რის გამო მომხსენებელმა საბოლოო სიტყვაში თავისი ეს ერთადერთი „დანაშაულიც“ გამოისყიდა და ბასიაშვილს ბოდიშის მოხდით მიმართა: „საწყენად კი არ მითქვამს, ჩემო მიხაო“.

საერთოდ ამ მოხსენებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ თბილისის მე-6 სალიანდაგო უბნის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში კრიტიკა და თვითკრიტიკა ვერ დგას შესაფერ სიმაღლეზე.

სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღინიშნოს, რომ მოკამათეებს არ ჰქონდათ საშუალება ბოლომდე გამოეთქვათ თავისი აზრი რეგლამენტის მეტისმეტი სიმცირის გამო; დაწესებული ხუთი წუთი ორატორებს არ ჰყოფნიდათ სიტყვის დასასრულებლად და ამ ნიადაგზე თითქმის ყოველ მოკამათეს უხდებოდა „ბრძოლა“ კრების თავმჯდომარესთან, რომელიც ბეჯითად ცდილობდა დაეცვა რეგლამენტი.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ პარტიული კომიტეტი საკმაო სერიოზულობით არ ეკიდებოდა პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმეს და ძალიან სუსტად მუშაობდა პარტიის რეზერვებთან. საანგარიშო პერიოდში პარტიის წევრობის კანდიდატად პირველადი ორგანიზაციის მიერ მიღებულია სულ 6 კაცი, ხოლო წევრად—1. ამ ამხანაგებმა პარტიაში მიღების შესახებ განცხადებები ჯერ კიდევ გასულ წელს შეიტანეს, მაგრამ მანდატები დღემდე არცერთს არა აქვს მიღებული, რადგან მრავალი თვის განმავლობაში მათი განცხადებები პარტკომს არ გასც�lebia და პირველადმა ორგანიზაციამ ისინი მხოლოდ უკანასკნელ ხანებში განიხილა. პარტიაში მისაღები ამხანაგების დოკუმენტების გაფორმებას პარტკომი არ ეპყრობოდა სერიოზულად და გულისხმიერად; ანკეტების შევსების დროს ათზე მეტი ანკეტა გაფუჭეს, ხოლო ამხ. ნ. ნონიკაშვილს, რომელიც პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებას თხოულობდა, პარტიის წევრის ანკეტა შეუვსეს და გადაგზავნეს რაიკომში დასამტკიცებლად. ცხადია, არასწორად გაფორ

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

1919 წელს დაბადებულ მოქალაქეთა გასაწვევ უბნებზე მიწერისა და ამ მოქალაქეთა 1939 წელს მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში გასაწვევად მომზადების შესახებ

იმ მიზნით, რომ ჩატარდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1919 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მიწერა გასაწვევ-უბნებზე და მომზადებულ იქნან ისინი მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში გასაწვევად, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის **პრეზიდიუმი ადგენს:**

1. დაევალოს 1919 წელს დაბადებულ ყველა მოქალაქეს, რომლებიც მუდმივად თუ დროებით ცხოვრობენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ა/წ. 15 მაისიდან 1 ივლისამდე მიეწერონ გასაწვევ უბნებს.

2. საქართველოს სამობილიზაციო ოლქის უფროსმა მოაწყოს 1919 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მიწერა გასაწვევ უბნებზე აღნიშნულ ვადაში.

3. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კაკებმა, საქართველოს სსრ საქალაქო საბჭოებმა და რაიონულმა აღმასკომებმა, კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, უზრუნველჰყონ 1919 წელს დაბადებულ მოქალაქეთა გასაწვევ უბნებზე მიწერის წარმატებით ჩატარება, მოაწყონ გასაწვევი პუნქტები და დააწესონ მათში სანიმუშო მომსახურება.

4. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და ცეკავშირმა მოაწყონ ყველა მისაწერ პუნქტში ბუფეტები, ფარდულები და სასადილოები და უზრუნველჰყონ ისინი პროდუქტებისა და საქონლის ფართო ასორტიმენტით.

5. საქალაქო საბჭოების, რაიონული აღმასკომების, სასოფლო საბჭოების, ფაბრიკების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებების, კომკავშირული, პროფესიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე დაისახოს შემდეგი ამოცანები 1919 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მოსამზადებლად ნამდვილი სამხედრო სამსახურში გაწვევისათვის:

ა) ყოველმხრივ შეისწავლონ თვითეული გასაწვევი და ეს მუშაობა დაამთავრონ მთელი გასაწვევი კონტიგენტის მიმართ 1939 წლის 1 მარტისათვის ყველა საჭირო დოკუმენტის შეგროვებით;

ბ) აამაღლონ გასაწვევთა პოლიტიკური, კულტურული დონე და საერთოდ მათი განვითარება, სავსებით მოახდინონ მათშორის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია, აიყვანონ ისინი კარგად მომზადებულთა დონემდე, არაუგვიანეს ა/წ. 1 სექტემბრისა დაიწყონ მათშორის მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის და დაამთავრონ იგი 1939 წლის 15 მაისისათვის;

გ) გაწვევისათვის მთელი მზადების მანძილზე მოაწყონ სამკურნალო - გამაჯანსაღებელი და სანიტარულ - პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება გასაწვევთა შორის, ფიზიკურად ჯანსაღი, ამტანი და სანიტარულად მომზადებული მეომრების მომზადების მიზნით;

დ) უზრუნველჰყონ თავდაცვა-ავიაქიმისა და ფიზკულტურის ორგანიზაციების სრული ხელშეწყობა იმ მხრივ, რომ დაწესებულ ვადებში ჩატარდეს გასაწვევთა სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკური და ფიზკულტურული მომზადება როგორც გასაწვევ პუნქტებზე, ისე მასობრივი მუშაობის წესით, გაწვევისათვის მზადების მთელი დროის განმავლობაში;

ე) მონაწილეობა მიიღონ მუშაობაში იმ მხრივ, რომ გასაწვევ კონტიგენტსა და სხვა ახალგაზრდა ასაკებს შორის შერჩეულ იქნან კანდიდატები სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელად;

ვ) მოაწყონ მოსახლეობასა და გასაწვევ კონტიგენტს შორის მასობრივი პოლიტიკური მუშაობა გაწვევისათვის მზადების გარშემო.

6. საქ. სსრ კაკთან არსებულმა მორიგი გაწვევისათვის ხელშემწყობმა მთავრობის კომისიამ უზრუნველჰყოს მიწერის ჩატარებისა და მორიგი გაწვევისათვის გასაწვევი კონტიგენტის მომზადების ოპერატიული ხელმძღვანელობა და აგრეთვე გაწვევისათვის მზადების პერიოდში გამაშუშავს სათანადო საგაცალო-მასობრივი ლიტერატურა.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — შ. მახარაძე.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი — ვ. ბუჯიაშვილი

1938 წლის 11 აპრილი.

ქ. თბილისი.

ა.-კ. რკინიგზელთა მხატვრული თვითმოქმედების საგზაო ოლიმპიადა

სურათზე: აღმოსავლური ინსტრუმენტების ანსამბლი არ. გრიგორიანის ხელმძღვანელობით (სადგ. ერევანი).

რკინიგზელთა მხატვრული თვითმოქმედება

17, 18 და 19 აპრილს თბილისის პლეხანოვის სახელობის კლუბში რკინიგზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტის ინიციატივით მოეწყო გზაზე არსებული მხატვრული თვითმოქმედი წრეების შემოქმედების ჩვენება.

თვითმოქმედი წრეების მხატვრულ ჩვენებაში მონაწილეობას იღებდნენ: ა.-კ. რკინიგზების კლუბების მომზერალთა გუნდები, მეჩონგურეთა, მეფახდურეთა და აღმოსავლური საკრავების ანსამბლები; სიმღერიანი, სასოლე და ჯაზ - ორკესტრები; აშუღები, დეკლამატორები, მოცეკვავენი და სხვ.—სულ 700-მდე შემსრულებელი.

ა.-კ. რკინიგზების მუშა-მოსამსახურეთა თვითმოქმედი წრეების მხატვრული შემოქმედების ჩვენებამ დიდი წარმატებით ჩაიარა. მან ერთხელ კიდევ ცხადჰყო ამერკავკასიის ხალხთა თვითმოქმედების სიუხვე და მრავალფეროვანი შემსრულებელი გამოამეღავნა.

ეურის გადაწყვეტილებით პირველი ჯილდო ათას-ათასი მანეთის რაოდენობით მიეცათ: სადგურ თბილისის მტვირთავი მუშების მომზერალთა გურული გუნდს ლოტბარ ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, ბაქოს სადგურის კლუბის მოცეკვავეთა ანსამბლს, ავეტისოვის ხელმძღვანელობით და ერევნის სადგურის კლუბის აღმოსავლური ინსტრუმენტების ორკესტრის ანსამბლს ა. გრიგორიანის ხელმძღვანელობით.

მეორე ჯილდო შვიდას-შვიდასი მანეთის რაოდენობისა—ლენინაკანის რკინიგზელთა კლუბის მოცეკვავეთა ანსამბლს არტაშეს ნაზარიანის ხელმძღვანელობით და ბალაჯარის სასულე ორკესტრს შიშკინის ხელმძღვანელობით.

მესამე ჯილდო ოთხას-ოთხასი მანეთის რაოდენობით — ბათუმის კლუბის მომღერალთა გუნდს არტემ ერემეიშვილის ხელმძღვანელობით, კიროვაბადის კლუბის ოუსულ გუნდს შეტერის ხელმძღვანელობით, სადგურ თბილისის მტვირთავი მუშების მომღერალთა ქართულ-კახურ გუნდს ი. ხოტელაშვილის ხელმძღვანელობით. ბაქოს სადგურის აღმოსავლური საკრავების ანსამბლს ალიოვის ხელმძღვანელობით, და სადგურ ნავთლუღის სიმებიან ორკესტრს ბოსკალიოვის ხელმძღვანელობით.

ინდივიდუალური შემსრულებლებიდან პირველი და მეორე ჯილდო მიეცა 28 კაცს. აქედან 11-მა შემსრულებელმა მიიღო პირველი ჯილდო 1000 მანეთის რაოდენობით თვითეულმა ხოლო 17-მა შემსრულებელმა— მეორე ჯილდო 700 მანეთის, ფულადი ჯილდოები და საჩუქრები მიეცა ბევრ შემსრულებელს.

ინდივიდუალურ შემსრულებელთაგან აღსანიშნავი არიან ბორჯომელი გოგორენი—6 წლის ეთერ ქერდაძე, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა „კინტაური“ და 8 წლის ნაზიკო ბანცაძე, რომელმაც იცეკვა „ბაღდადური“. საუკეთესო იყო აგრეთვე 12 წლის თინა ხოტელიშვილის გამოსელა, რომელმაც გულდათან ერთად ჩონგურზე დიდი გულწრფელობითა და გემოვნებით შეასრულა სიმღერა სტალინზე. აღსანიშნავია აგრეთვე პატარა გოგონების ხუდიაკოვას ცეკვა და ლალიანის (ლენინაკანი) მხატვრული კითხვა. საუკეთესო იყო 9 წლის აშუღის აბას მამედის გამოსელა, რომელმაც საზზე შეასრულა სიმღერები „სულიკო“ და „არგენტინა“.

აზერბაიჯანული ხელოვნების დეკადის მონაწილენი ბაქოს ბაემგზავრნენ

21 აპრილს აზერბაიჯანული ხელოვნების დეკადის მონაწილენი ბაქოს გაემგზავრნენ. კურსკის ვაგზალზე მოსკოში სტუმრები გამოაცილეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. ნაზაროვმა, კომიტეტის მუშაკებმა, თეატრის მოღვაწეებმა და პრესის წარმომადგენლებმა.

მოსკოველები გულთბილად გამოეშვიდობნენ შესანიშნავი აზერბაიჯანული ხელოვნების მუშაკებს, რამაც უცხოველესი ინტერესი გამოიწვია წითელ დედაქალაქში და მალალი შეფასება მიიღო საბჭოთა მთავრობის მხრივ.

მოკრივეთა შეჯიბრება

17-19 აპრილს თბილისში ჩატარდა სრულიად-საქართველოს შეჯიბრება კრივში.

თბილისის, ბათუმისა და სოხუმის 28 საუკეთესო მოკრივე იღებდა მონაწილეობას შეჯიბრებაში.

რესპუბლიკის ჩემპიონის სახელწოდება კრივში მოიპოვეს: უუმსუბუქეს წონაში—ტულუშმა (ბათუმი), უმსუბუქეს წონაში—გორგასლიძემ (თბილისი), ნახევრად მსუბუქ წონაში—ვართანოვმა (თბილისი), მსუბუქ წონაში—ნიკოლაევმა (თბილისი), ნახევრად საშუალო წონაში—კინდელაკმა (თბილისი), საშუალო წონაში—ბაქრაძემ (თბილისი), ნახევრადმძიმე წონაში—რუდოვეტკინმა (თბილისი) და მძიმე წონაში — ღუდუშაურმა (თბილისი).

შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ავადმყოფობის გამო ნავასარდო